572
1985

ISSN 0132-5965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1985 ნოემბერი № 11

ალიონი

ბოლშევიკის სარკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ალბათ იფიქრებთ, რომ ლაპარაკი გვექნება ჯადოსნურ სარკმელზე. აბა, როგორ შეიძლება ჩვეულებრივი სარკმლიდან მომავალში გადაიხედოს კაცმა! არა და, ჯადოქრობა აქ არაფერ შუაშია.

ახლავე ყველაფერს აგიხსნით.

თებერვალში მოსკოვში გაიმართება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (სკკპ) ოცდამეშვიდე ყრილობა. მანამდე კი, იანვარში, თბილისში, საქართველოს კომუნისტები შეიკრიბებიან თავიანთ ყრილობაზე, შეიკრიბებიან, რომ თვალი გადაავლონ წინა, ოცდამეექვსე ყრილობის შემდეგ გავლილ ხუთ წელიწადში გაკეთებულ საქმეებს, დასახონ შემდგომი ხუთწლედის გეგმები. გარდა ამისა აქ აირჩევენ სკკპ XXVII ყრილობის დელეგატებს.

ვინ არის დელეგატი?

აი, რეზიკო, მამაშენი გამოჩენილი მშენებელია, ჟინვალჰესზე მუშაობს. შეიძლება ამხანაგებმა, როგორც საუკეთესო მუშა, ის ყრილობის დელეგატად აირჩიონ; ან ნინიკოს მამას დაასახელებენ დელეგატად, რადგან მან ხელი შეუწყო ქართული თეატრის აღმავლობას; ლელის დედაც—ცნობილი მეფრინველეც შეიძლება მათთან და სხვა სახელოვან მშრომელებთან ერთად წავიდეს პარტიის ოცდამეშვიდე ყრილობაზე მოსკოვში—ყრილობა ხომ ნიშნავს ერთად თავის მოყრას, თავშეყრას, ხალხისათვის ყველაზე საჭირო, საჭირბოროტო და სასარგებლო საქმეებზე მსჯელობას. თითქოს ერთად, ერთი დიდი სარკმლიდან იყურებიან ყრილობის დელეგატები მომავალში...

რომ იცოდეთ, რაც წინა ყრილობებზე „დაინახეს“ „მომავლის სარკმლიდან“, ყველაფერი სინამდვილეში მოხდა.

რა? მაგალითად ის, რომ საქართველოში აშენდა დიდი ჰიდროელექტროსადგურები, ახალი ქარხნები; გამშვენიერდა, განახლდა თბილისის ძველი უბნები; აშენდა კომკავშირული ქალაქი „ბორის ძნელაძე“, გაუმჯობესდა ხალხის ცხოვრება! ახლა მარტო ბავშვებისათვის რაც გაკეთდა! რამდენი სკოლა თუ ბაგა-ბალი აშენდა, რამდენი სპორტული მოედანი თუ დასასვენებელი ბანაკი. განა სამომავლო, საშვილიშვილო საქმე არ არის ქალაქ „მზიურის“ გაშენება ანდა პაწია ჟურნალის „აი იას“ დაარსება ყველაზე პატარებისათვის...

ასეა მთელ საბჭოთა ქვეყანაშიც. ყველას გაგიგონიათ ბაიკალ-ამურის მაგისტრალი—ბამი. როგორც წინა ყრილობებზე „დაინახეს“ „მომავლის სარკმლიდან“, ბამის რკინიგზა უკვე გაყვანილია, და ვინ იცის, იქნებ ბავშვების მოგროვილი ჯართიც არის გადამდნარი მის ლიანდაგებად! ახლა მთელი გზის გასწვრივ შენდება ქალაქები, დაბები, სამრეწველო საწარმოები, იქმნება მეურნეობები...

ისე, რომ, „მომავლის სარკმელი“ ხატოვანი თქმაა—საბჭოთა კავშირის კომუნისტების ყრილობაა ის სარკმელი, რომელიც მომავალს გადაგვიშლის თვალწინ!

ნოემბერია. ჩვენი ქვეყნის ყველა დღესასწაულიდან უმთავრესი დღესასწაულის — ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების თვე. კი მაგრამ, თუ რევოლუცია ოქტომბერში მოხდა, რატომ ვზეიმობთ ამ თარიღს 7 ნოემბერს?

რატომ და, იმ დროს, 1917 წელს, მეფის რუსეთის კალენდარი სხვა ქვეყნების კალენდარს 13 დღით ჩამორჩებოდა. და როგორც საათის ისრებს სჭირდება წინ გადაწევა, როცა საათი უკან რჩება, ეს მცდარი კალენდარიც, რევოლუციის შემდეგ, 13 დღით წინ გადასწიეს. ასე დაემთხვა ძველი კალენდრის 25 ოქტომბერი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღე — 7 ნოემბერს ახალი სტილით.

17.9.73

ცირა ქიტიაშვილი

ლენინგრადების ქალაქი

უსათუოდ უნდა ნახო,
თუ არა გაქვს ნანახი,
მოზეიმე ლენინგრადი —
ლენინგრადების ქალაქი.
ჰაჰა ამბობს: აქ აენთო
შუქი ჩვენი დიდების,
მაგრამ იგი სულ სხვა იყო,
როცა ერქვა ჰიტერი.
ჰარჰაშობდა შიგ ბურჟუა,
გენერალი, ვაჭარი,
მათი იყო ეველაფერი,
ამ მიწაზე რაც არის —

საქ. სსრ კ. ბიბლიოთ.
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

მშრომელ კაცის მონაგარი,
მშრომელ კაცის ნაშენი.
და არ ჩანდა სიღარიბის,
სიღატაკის საშველი,
ქუჩა-ქუჩა საცოდავად
წანწალებდნენ ბავშვები...
ჩაგრულებმა მჩაგვრელები
ვერა, ვერ მოიცილეს,
ბევრი შვილი შეეწირა
შიმშილსა და სიცივეს.
პროლეტარო, უბრძოლველად
გამარჯვება არ მოვა!—
თქვა ლენინმა, და ნევაზე
იგრიალა „ავრორამ“,
იგრიალა, ხალხი აღდგა,
ეველა შევიარაღდით,
ოცდახუთი ოქტომბერი
გვეხსომება მარადის,
ო, რა ცხელი ღამე იყო,
რა ბრძოლა, რა კვეთება,
ვერ გაუძლეს მჩაგვრელებმა
თავგანწირულ შეტევას.
და როდესაც ცაში დილით
მზის სხივებმა იალეს,
გამარჯვების ალისფერი
დროშა ავაფრიალეთ.
და მას შემდეგ შუქურები
მშვიდობის გზებს უცინის,
დგას ნევაზე კრეისერი—
ძეგლი რევოლუციის,
დილის სხივი დასთამაშებს,
დაჰფარფატებს თოლია,
ეველას იწვევს,
— გაიცანით,
რა გმირები გვყოლია!
უსათუოდ უნდა ნახო,
თუ არა გაქვს ნანახი,
მოზეიმე ლენინგრადი—
ლეგენდების ქალაქი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი გეგეჭკორი

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება

წინაპრები. პაპა. მამა. „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“

ალბათ ყველას გახსოვთ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“. გახსოვთ, როგორ გადმოაყარა თავზე ქლიავი ინგილო გოგონამ ლეკებზე გამარჯვებულ მეფე ერეკლეს, რომელიც ქართველთა ლაშქარს მოუძღოდა სოფლის ორღობეში. ამ საქციელის მიზეზი ის იყო, რომ ქართველ მეფეს სპარსული ჩალმა ეხურა.

ლეკებზე გამარჯვებული მეფე ერეკლეს ლაშქარში ილია ჭავჭავაძის პაპა პაატა ჭავჭავაძეც შეიძლებოდა ყოფილიყო. პაატა ერეკლე მეფის თანამებრძოლი ყოფილა. ერეკლე რომ გარდაცვლილა, მას მეფის სხვა ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად მეფის ცხედარი თელავიდან მცხეთაში ჩამოუსვენებია სვეტიცხოვლის ტაძარში დასაკრძალავად.

ილია ჭავჭავაძის წინაპრები საქართველოს მთიდან ბარში ხუთი საუკუნის წინათ ჩამოსულან. ყვარელში ერწო-თიანეთიდან, სოფელ ყვარადან ჩამოსული ფშავლები დასახლებულან და მაშინ აუგიათ ის ციხებურჯიც, სადაც ილია დაიბადა. ეტყობა, სწორედ ყვარას გამო ჰქვია ყვარელს ყვარელი. დიდი ქართველი პოეტის — ვაჟა ფშაველას დროს ყვარა დასახლებული სოფელი ყოფილა. ახლა კი ამ სოფლის ნანგრევებიღაა შემორჩენილი.

პაატა ჭავჭავაძეს ხუთი ვაჟი ჰყოლია. ილიას მამა, გრიგოლი, პაატას მეოთხე ვაჟი ყოფილა და 1811 წელს დაბადებულა. იგი მამასთან და თავის ძმებთან ერთად მამაცურად ებრძოდა მტერს. მაგრამ სამხედრო სამსახურისათვის მალე დაუნებებია თავი, ყვარელში დაბრუნებულა და ახლა აქ ებრძოდა მომხდურს.

ილია 13 წლისა ყოფილა, როცა მკათათვეში, კალოობას, დღისით, დაღესტნიდან შემოსული მძარცველები ყვარელში შემოჭრილან. ფიწლებით შეიარაღებულ გლეხობას ილიას მამა გასძღოლია, ლეკები გაუქცევიათ და შეტაკების დროს ლეკების ბელადი, ნაიბი აბალუ მოუკლავთ.

ილიას მამა გონებამახვილი კაცი ყოფილა, სიტყვამოსწრებული და თავის დროზე ხუმრობის მოყვარული.

კარგი მთხრობელი რომ ყოფილა, ამას თვით ილია ჭავჭავაძე აგვიწერს მოთხრობა „ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილში“.

ახალი წლის წინა ღამეს, „არ ვიცი, ხვალის ლოდინისაგან, თუ მეტის-მეტ გართობისაგან, ძილი აღარ მოგვეკიდა. არა ერთხელ და ორჯერ გვიბრძანა დედამ: წადით, შვილებო, დაიძინეთო, და ჩვენ კი თითით ყელს ვუწევდით და ისე ვეხვეწებოდით: დედას ჭირიმე, ნუ გაგვრეკავ, არ გვეძინებაო. დედა გოზინაყებისა და ალვახაზის სამზადისში გართული იყო, გარს ჯამები, ბადიები და ტაბაკები ედგა ნუშით, ნიგოზით და თაფლითა. მამა-ჩვენი კი ბოლთასა სცემდა ოთახში ჩიბუხით ხელში. ჩვენმა პატარა დამ, რო დაცუცუნებდა

ჯამებსა და ტაბაკებს შორის, როგორღაც ფეხი წამოჰკრა ერთს უშველებელს ბადიას და შიგ ყოფილი თაფლი კი პირქვე წამოაქცია. დედას ძალიან ეწყინა და... გაჯავრებით უთხრა მამას: ერთი თავიდან მომაშორე.... ეს ბაჯაჯღანები!.. გასხი იქით ოთახში, ზღაპარი რამე უამბე, იქნება დაეძინოთ და მომასვენონო“.

ილია მოგვითხრობს: „მამა ჩემმა ძალიან კარგი ზღაპრები იცოდა და ჩვენც ძალიან გვიყვარდა ყურისგდება ზღაპრებისა. გვიამა, რომ დედამ დაავალა მამას ზღაპარი ეთქვა — მივცვივდით ჩვენც, ზოგი ხელებზე ჩამოვებობღენით, ზოგი ახალუხის კალთაზედ.

— შენი ჭირიმე, მამილო, ზღაპარი გვითხარი, — შევბღავლეთ აქედ-იქიდამ, — დედა აქედამ გვერეკება და შენ ზღაპარი მაინც გვითხარ, არ გვეძინება.

— ბატონი ხართ, აბა წავიდეთ.

მამა გავიდა მეორე ოთახში და ჩვენც გავყევით“.

პატარა ილიას და მის და-ძმებს მამა ერთი ოთახიდან მეორე ოთახში გაიყვანს.

გარდა იმ ციხებურჯისა, რომელშიც ილია დაბადებულა, ჭავჭავაძეების ეზოში მდგარა და ახლაც დგას მამისეული ერთსართულიანი სამოთახიანი სახლი. ამ სახლზე პირდაპირ მიშენებულია მარანი. სახლი მეთექვსმეტე საუკუნეში კოშკთან ერთად აუშენებიათ. როცა ყვარელს საფრთხე დაემუქრებოდა, ამ სამოთახიანი სახლიდან ჭავჭავაძეების ოჯახი ციხებურჯში გადადიოდა და თავს იქ აფარებდა.

აი, როგორ აგვიწერს ილია მოთხრობაში იმ ოთახს, რომელშიც მამამ შვილები გაიყვანა:

„ოთახში ბუხარს ერთი ამბავი გაჰქონდა აპრიალებულის ცეცხლისაგან. ბუხრის პირდაპირ ერთი გრძელი ტახტი იდგა, ავი-

და მამა ჩვენი, ტახტზე მოიკეცა. ჩვენც გარშემო შემოვუსხედით. ჩვენი პატარა და გულ-აღმა წამოუწვა მამასა, იდაყვებზედ დაებჯინა, თავისი პატარა თავი ხელებზედ დაადო და ისე შეაჭყიტა მაყვალივით შავი თვალები, თითქოს მართლა ზღაპრის მოსმენა უნდოდა. ის კი არა თუ, როგორც იმას, ისეც იმაზედ მიმდევარს მესამე ძმას, მაშინვე ჩაეძინებოდა ხოლმე ორიოდე სიტყვის შემდეგ".

პატარა და, ილია რომ ახსენებს, ნინო იყო, ხოლო ეს მომდევარი მესამე ძმა — თვით ილია. ილიას არაერთხელ უთქვამს: პატარასა და ტანად მრგვალს მუთაქასავით ტახტზე დამაგორებდნენ, ჩემზე წიგნს დასდებდნენ და კითხულობდნენო.

რაზე ელაპარაკებოდა მამა სულგანაბულ ბავშვებს ახალი წლის წინა ღამეს?

„მამამ დაიწყო:

მე ადრევეც მიამბნია, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან ემტერებოდნენ თათრები. მოსვენებას არ გვაძლევდნენ, ხან აქედამ, ხან იქიდამ მოგვესეოდნენ ხოლმე. ჩვენც, რაც შეგვეძლო, რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვებრძოდით, ვეომებოდით. ყველას უყვარს, შვილებო, თავისი ქვეყანა და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს. ბევრი იმეტებდა თავს და ბევრმაც სახელი დაიგდო".

სწორედ ერთი ასეთი სახელოვანი ვაჟკაცის, ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის ამბავს მოუთხრობს მამა შვილებს. ეს ამბავი — ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტისდროინ დ ე ლ ი ამბავი, გრიგოლს უთუოდ თავის მამისაგან, პაატასაგან ექნებოდა გაგონილი.

ბავშვებო, ალბათ გახსოვთ ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის ვაჟკაცობის ამბავი. როცა ორი ჯარი — ჯარი ყიზილბაშებისა, ანუ წითელჩალმიანებისა და ჯარი ქართველებისა ერთმანეთის პირისპირ დადგა, ერთი ყიზილბაში გამოვარდა მტრის რაზმიდან და ქართველები საომრად გამოიწვია. ჯერ ერთი ქართველი დასცა მიწაზე ყიზილბაშმა, მერე — მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე... ჩავარდნენ სირცხვილში ქართველები და ამ დროს გაახსენდათ ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი. მართალია, ამ სახელოვან ვაჟკაცს სიბერე მორეოდა, უწინდებურად აღარც მკლავი ერჩოდა და აღარც მუხლი, მაგრამ ცხენს სადავე აუკრიბა და ჰკრა ქუსლი. გოსტაშაბიშვილმა ყიზილბაშის მოღერებულ შუბს ხელი აუკრა, აიცდინა და სანამ ყიზილბაში მეორედ შემოუტევდა შუბით, ცხენდაცხენ ეცა, წასწვდა, შეანჯღრია და ცხენიდან ძირს ისე დასცა, რომ ყიზილბაშს ადგომა გაუჭირდა. მაშინ ცხენიდან ჩამოხტა გოსტაშაბიშვილი, ყიზილბაში ფეხზე ააყენა და უთხრა:

„— ნუ გეშინიან, მე თავს არ მოგჭრი. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია, ცოდვაა შენი გაფუჭება. წადი... გზა მშვიდობისა მოგცესო.

— მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანო, — უპასუხა ყიზილბაშმა, სალამი მისცა და წავიდა".

ილია ჭავჭავაძე



მერი ბოლქვაძე

საღლეგრძელო

ლურჯ, ძალიან ლურჯ ცაზე პატარა ღრუბელი ღილილო გამოჩნდა. სადღაც მიიჩქარის, მუქი ნაცრისფერი, თითქმის ჩაშავებული კაბა აცვია, მოღუშულია და კუშტი.

— საით მიბრძანდები? — დაინახა ჩიტმა ტოროლამ და გამოეკიდა.

ღილილოს უკან არც მოუხედავს.

— ღრუბელ ბებეს დღეობაზე.

ტოროლამ წინიდან დაუარა.

— მერე დღეობაზე ასეთი დაბღვერილები მიდიან? ან ეს რა კაბა ჩაგიცვამს?

— რა კაბა?

— ნამდვილი ჟამისფერი. არც ყვავილები მიგაქვს.

— მე სხვანაირი კაბა არა მაქვს, ყვავილებიც ცაზე არ იზრდებიან და, რა ადვილია, არ წავიდე? — მიუგო ღილილომ და უფრო აუჩქარა ფეხს.

— ვინ გითხრა, არ წახვიდეო? მოიცა! — ტოროლა ელვის სისწრაფით მიწაზე დაეშვა. ფაცხაფუცხით იების კონა შეკრა, ისევ ცაზე ამოვარდა და ღილილოს გაუწოდა, — აჰა, ამას ბებეს მიართმევ, ოლონდ ლამაზი, მხიარული კაბა სად გიშოვო, არ ვიცი.

— მე ვიცი! — დაიძახა მზემ. წამში ჟამისფერი გააძრო ღილილოს და იისფერი გადააცვა.

— იჰ! — სიხარულისაგან შეითამაშა ტოროლამ, ღილილო წალმა-უკუღმა დაატრიალა, — იჰ, როგორ გიხდება, მთლად დაგხატა, წადი ახლა! — ფრთა წაჰკრა, მაგრამ ისევ შეაჩერა:

— მოდი, მეც წამოვალ, ჰა?

— დაპატიჟებული რომ არა ხარ?! — შეცბა ღრუბელი.

ტოროლამ ნისკარტი ჩამოუშვა.

— მერე რა, შენ დამპატიჟე.

— ჰო, კარგი, წამოდი! — შეეცოდა ღილილოს.

გაუდგნენ გზას. უცბად ტოროლას გაეცინა.

— რა გაცინებს? — მიუბრუნდა ღილილო.

— წარმოვიდგინე ღრუბლების დღეობა. ცეკვისა და სიმღერის მაგივრად ერთმანეთს რომ ცემენ და ტყეპენ, ტირიან და ღრიალებენ. ახლა შენც მიემატები და დაალებ პირს!

ღილილომ თავი იმართლა:

— ქარი თუ იქ არი, მაშ რა იქნება?

— თქვენც რას ეპატიჟებით, რა!?

— ნეტავ ვინ ეპატიჟება?!

ამ ლაპარაკში მიუახლოვდნენ კიდეც იმ მთას, სადაც ღრუბელი ბებე დღეობას იხდიდა. მართლაც მთელი მთა ყირაზე იდგა: ღრუბლები ქართან ერთად ზედახორას გადადიოდნენ, იყო ერთი ორომტრიალი, ცემა-ტყეპა, წეწვა-გლეჯა, სტვენა, ტირილი, გრუხუნ-რუხუნი. ქარი ბურთებივით ისროდა ღრუბლებს აქეთ-იქით...

— ხომ გითხარი, — თქვა ტოროლამ და პასუხს აღარ დაუცადა, თავი დაღუნა, ისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივით გავარდა და მოჩხუბრებს ეცა. პირველ რიგში ჩხუბის თავს — ქარს მიეჭრა და რაღაც წასჩურჩულა, და ღიღილომ დაინახა, რომ ქარი წამით გაირინდა, მერე კი ერთი საშინლად დაიკივლა, ყალყზე შედგა, მუქარით გაიზუზუნა, ადგილს მოწყდა და გავარდა... ტოროლამ კმაყოფილებით ჩაიცინა და ახლა ღრუბლებს დაერია:

— ეს რა ამბავია, დღეობაა თუ ომი? აბა, ახლავე მაგიდასთან — ყველანი!

ერთმანეთის ცემა-ტყეპით დაოსებული, გვერდებდაბეგვილი ღრუბლები, ტოროლას ბრძანებით, ფერდობიდან წამოიშალნენ, ბუზღუნ-ბუზღუნით ტანსაცმლიდან მტვერი ჩამოიბერტყეს, მთის წვერზე აცოცდნენ და იქ ყინულის ხორცით სავსე მაგიდას მიუსხდნენ. მაგიდის ერთ თავში ბებე დაბრძანდა, მეორეში — ტოროლა, ტოროლას გვერდით — ღიღილო...

— ქარს რა უთხარი? — დასხდნენ თუ არა, გადაუჩურჩულა ღიღილომ ტოროლას.

— ასე ვუთხარიო, — უპასუხა ტოროლამ: — ქარი — რია ქვევით ქალაში დაჭენაობს არხეინად, მამალივით იფხორება და გაიძახის: სად არის ქარი — რიო, სად არის, დავეჭიდო, ალბათ იმალება, ეშინია, რომ ვაჯობებო! იმანაც მოკურცხლა...

ღიღილომ მხიარულად ჩაიფხუკუნა, მერე დამშვიდებული წამოდგა, დიდი ამბით ბებეს მიუახლოვდა, იების პატარა კონა გაუწოდა, გადაკოცნა და დღეობა მიულოცა.

— ბებე, ჩემო ლამაზო, ჩემო მშვენიერო დაიკო ბებე, გილოცავ დღეობას, გაიზარდე დიდი, დიი-დი, ძალიან კარგი, ბუთხუზა, ღუნღულა და ძალიან მტირალა ღრუბელი! — თქვა და ისევ თავის ალაგას დაბრძანდა. ღიღილო რომ დაბრძანდა, ახლა ტოროლა აბრძანდა, ასწია თავისი ყინულის კანფეტებით სავსე მალალყელიანი ყინულის სასმისი და ბებე ასე ადღეგრძელა:

— ბებე, გილოცავ დღეობას, გაიზარდე დიდი, დიი-დი, ჯანმრთელი და ღონიერი, ძალიან მტირალა, ზლუქუნა ღრუბელი, ოღონდ ბრაზიანი და როკაპი კი არა, კეთილი და სათნო, უწყინარი. ჟუჟუნა, ტკბილ წვიმად მოვლენოდე დედამიწას, არასოდეს წაგელეკოს სეტყვითა და ნიალვრებით, სულ იხარე და იბედნიერე!

ახლა მხიარული ყიჟინით სხვა ღრუბლებიც ფეხზე წამოიჭრნენ. ბებე ნაძვის ხეებს შუაში ჩაიყენეს და გარშემო დაუარეს ცეკვითა და სიმღერით:

ღრუბელ ბებეს დღეობაში,
გამოვაცხვეთ თაფლის კვერი...
გაიზარდე, ბებე, დიდი,
ლამაზი და მშვენიერი...
გაიზარდე სათნო, ზრდილი,
დედა გაგეხარებინოს,
მოჟუჟუნე, ოქროს წვიმით
მიწა აგეყვავებინოს...

ბებეც მღეროდა, ტოროლაც, მზეც. მზემ ახლა ყველა ღრუბელს, ღიღილოსავით, ფერადი ტანსაცმელი გადააცვა: წითელი, ყვითელი, ვარდისფერი, იისფერი, ოქროსფერი სხივების არშიით მოვლებული და მოსილვადებული, და ყველანი ისეთი ლამაზები იყვნენ, ისეთი, ისეთი... არც ერთი ავ თვალს არ დაენახვებოდა.

მხატვარი ნანა სულემენაშვილი

ყველას ყველზე საზარელ ზღაპრებში

ვაჟა ყუბუსიძე

ტრაბახა ქვინჩილას ამბავი

ჯირმა თავი მალა, მალა,
მაგრამ მაინც იჩინა,
იეიღლა და ატრაბუცდა,
ატრაბახდა ქვინჩილა:
მე რომ არა, და რომ არა
სიმღერები, ჩემგან თქმული,
მუდამ დამე იქნებოდა,
დამე ბნელი, დამე კრული;
ჰოდა, ბნელის გამნათებელს
საქათმეში რა მინდა?
ცაში ღრუბლებს დავაფეთებ,—
თქვა, და მართლა აფრინდა.
ზღაპარ იეო, ზღაპარ იეო,
მისი მსგავსი სხვა არ იეო,
სულ ღრუბლებში დაფრინავდა,
ვიდრე ქორმა არ წაიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფინიები და ნაგაზები

მაკას მკა უამბობდა
ამბავს,
მართლა საკვირველს,
ერთხელ, თურმე, ფინიებმა
ნაგაზები დაებინეს:
ბომბორებო, რას ერჩითო,
რას შეეფთო მთვარეს,
ალარ გახსოვთ—მერამდენედ
გაუცალა მთა-ველს
და ბრმებივით შეგვატოვა
ამ გაბურულ ღამეს?!

ქანჩამ უთხრა ქვაკს

ქანჩამ უთხრა ქვაკს:
— ბევრი მტერი მყავს,
შველას თუ ვერ მოველოდი,
ლომს გავაძრობ ტყავს.
— ბაქიავ და მშიშარავ,
ლომმა რა დაგიშავა?!
— დაშავებით არაფერი,
თავად გეცოდინება,
მაგრამ მაინც
ტყავს გავაძრობ,
სხვების დასაშინებლად.

სპილო ღამით

— რას აკეთებს ღამით სპილო?
— რას და... მალალ ხეზე ადის,
რომ ხორთუმით გადასწიოს
საკიდური ღამის ფარდის
და აკვანი დაარწიოს
სხივნათელი განთიადის.

მხატვარი თემურ ფხიკიძე

ცხოვრობდა მხიარული ძაღლი

თინა ჟეჟია

მხატვარი ბესო ხიდაშელი

ეზო, სადაც მხიარული ძაღლი ცხოვრობდა, საოცრად ღამაზი იყო. ასეთ მწვანე მდელოს, აღბათ იშვიათად ნახავდა კაცი, ასეთ ყვითელ და დიდ ბაბუაწვერას ყვავილებს კი. მგონი, სხვაგან ვერსადაც ვერ მოძებნიდა. უბრალო მინდვრის ბაიებიც კი ისეთი დიდრონები იყვნენ, თითქოს გამადიდებელი შუშიდან უცქერითო. დაფნის მარადმწვანე ღობეზე ხვართქლა აცოცებულიყო და თეთრად ჩაემწკრივებინა თავისი წვრილი ყვავილები. სახლი წყავის ფოთლების სიმწვანეში იჯდა, მარტო სახურავი მოჩანდა. აი, აქ, ამ ეზოში ცხოვრობდა მხიარული ძაღლი, რომელსაც პატარა ბიჭის სახელი—კოკა ერქვა. ვინ დაარქვა ბიჭის სახელი? ამას მერეც გაიგებთ, ახლა კი მხიარული ძაღლი—კოკა სახლის კიბესთან, მაღალ, შვინდისფერყვავილებიან გეორგინის ბუჩქთან, ახლადგამოჩეკილ დაბდურა ბატის ჭუკს ეთამაშებოდა. ბატის ჭუკი ვერაფრით ვერ ახერხებდა თავის დაღწევას. ბოლოს ისევ თავისმა დედობილმა ჭრელა კრუხმა უშველა. რაღაცა ჩაუკრუხუნა კოკას და თავში ჩანისკარტებით მოაშორა იქაურობას სასაცილო ბატის ჭუკი.

მხიარული ძაღლი ახლა ეზოს მეორე კუთხეში მობაღახე პირთეთრა ხბოს მივარდა გასამხიარულებლად. ხბომ ღურჯი, სევდიანი, გაოცებული თვალებით შეხედა. ნეტავ როგორ უნდა ემხიარულნა, როცა გუშინწინ სალამოს დაიბადა, ღღეს კი მარტო დატოვეს. დედამისმა, კუდთეთრა ძროხამ, ცრემლიანი თვალები აუღოკა და უხალისოდ გაჰყვა ჭიშკრისაკენ ქეთევან ბებიას. ეს დილით იყო. ახლა, მზე ოდნავ რომ გადაიხარა, პირთეთრა ხბო თვალებგაფართოებული უყურებდა ხან მზეს, ხან კოკა-ღეკვს, ხან კი დრუნჩს ჭიშკრისაკენ იშვერდა და დედას ელოდებოდა. კოკამ ვერც ბოლომარაო ინდაურთან გააწყო რამე. მიუახლოვდებოდა თუ არა, ინდაური გაიფხორებოდა და შეუტევდა. რა მოელანდათ ნეტავი? ყველანი ცუდ ხასიათზე იყვნენ. კოკამ ცალი თვალი მოჭუტა, მერე თავი გააქნია და ეზოს ბოლოს სიმინდებში გაუჩინარდა. კვახის ბარდებში მეზობლის საძაგელი, კვახიპარია გოჭი შემოპარულიყო, კოკამ სულზე მიუსწრო, ბაწარა კუდში პირი ჩაავლო და საიდანაც შემოძვრა, ისევ იქ გააძვრინა. ამასობაში ქეთო ბებიამ დიდი ქვა მოიტანა და საძრომი ამოქოლეს. კოკა ახლა ბებიას შეახტა კალთაზე, მეთამაშეო, მაგრამ ქეთო ბებიამ ხელები გაუსავსავა, აბა, შენთვის სადა მცალია, ბიჭოო. კოკას ძალიან უხარდა, ქეთო ბებია, ბიჭოო, რომ ეძახდა. ახლა ფეხები აუღოკა და კუდიც უქიცინა, მაგრამ ქეთო ბებია კრუხ-წი-

წიღას გამოუდგა — ბოსტანში ქინძის კვაღს ანადგურებდნენ. ბუტუსურა ბატის ჭუკი ღობეში ვერ გატეუღიყო და ფეხებს საცოდავად აფხარკაღებდა, კოკამ ფრთხიღად დაავღო პირი და გამოიყვანა. ბოღოს და ბოღოს ვინმეს ხომ უნდა ვეთამაშოო, გაიფიქრა ნაღვღიანად და ახღა ჭიშკრისკენ გასწია. სკოღიდან უკვე ბრუნდებოდნენ ბავშვები. გიგიც მაღე გამოივღიდა, აღბათ. გიგი და კოკა მეგობრები იყვნენ. სახეღიც გიგიმ დაარქვა. როცა კოკა საშვეღს არ მისცემდა ქეთო ბებიას, მეთამაშეო, ის გიგის ეძახოდა: გიგი, გიგია ბიჭო! მოდი შენს გახარებას, ცოტა ხანი წაიყვანე ეს შენი ნათღული, თორემ მომკღა ამისმა საცოდაობამ. ამას თამაში უნდა და მე სადღა შემიძღია ამდენიო. გიგიც წაიყვანდა კოკას და ეზოში ბურთს ეთამაშებოდა. ხან წყაღი მოჰქონდათ ერთად და ასე ცხოვრობდნენ მხიარული ძაღღი კოკა, ქეთო ბებია და მეზობღის ბიჭი — გიგი-ნათღია ზაფხუღამდე. ზაფხუღში კი ქეთო ბებიას თავის შვიღიშვიღები — ანიკო და თამრიკო ჩამოუვიდოდნენ და, აბა მაშინ იყო მხიარული თამაშები.

ერთხეღ, როცა მაისი მიიღია და ივნისი დადგა, როცა შავი ბაღი დამწიფდა, თეთრი თუთა თაფღის სანთღის ფერი გახდა და ეზოში წითეღვარსკვღავას ყვავიღებს ყვითეღი შავზოღიანი გუღები გადაეფურჩქნათ, როცა ბაბუაწვერები თოვღის ფანტეღებივით დაფრინავდნენ აღმადაღმა ან პეპღებივით ისხდნენ ასფურცეღას ფუშფუშა ფოთღებზე, მხიარული ძაღღი კოკა ეზოში არ ჩანდა. ქეთო ბებია ავად გამხდარიყო. ღოგინში იწვა. კოკა ოთახის კარებში იჯდა და თვაღს არ აშორებდა მას. თამრიკოს და ანიკოს ეღოდებოდნენ. ბებია წუხდა. ნეტავ, რა მოუვიდათ, ერთი კვირის წინათ ვეღოდი და ჯერაც არ ჩანანო. ამასობაში გიგია ბიჭმა თავის ტკივიღის წამაღი მოუტანა ქეთო ბებიას. დაბდურა ბატის ჭუკიც ამოღასღასდა კიბეზე და სიცხისაგან შეწუხებული პირდაპირ ბებიას საწოღის ქვეშ შებაჯბაჯდა. ხმას არავინ იღებდა. მერე ქეთო ბებიამ წამაღი დაღია და სანამ ჭიქას დადგამდა, კოკას შეასწრო თვაღი — ძაღღმა ჯერ ბებიას შეხედა, მერე გიგის ჩაუკრა თვაღი და აივნიდან ეზოში ისკუპა. ჭიშკარში თამრიკო და ანიკო შემოდიოდნენ. იწყებოდა მხიარული ძაღღის ნამდვიღი, მხიარული ზაფხული.

ირინე უშვერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წისქვილი

ბრუნავს დიდი დოლაბი,
ცრი-ცრი, ცრი-ცრი,
ცრის ფქვილი...
სარეკელა რაკუნობს,
რა კარგია წისქვილი!



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ნანა ღვინეფაძე

ერთი ქუდის ამბავი

ღელიმ ქუდი გადამაღა,
აბა, ვინ რას მიხვდებაო,
საზამთრომ თქვა,—
ღელის ქუდი
მეც ძაღიან მიხდებაო.
ყვავიღები აკისკისდნენ,
ამ დიდთავას შეხედეთო!
პატარებო, აბა ერთი
ქუდიანად შეღებეთო!
გაჩნდა ფუნჯიც, საღებავიც,
მოიწვიეს მხატვრები,
სასეირიოდ მოემზადნენ
ვაშლები და ატმები.
ბატონივით დასვეს ტახტზე,
ჩაღის ქუდი მოხადეს,
საზამთროსაც გაეცინა,
ისე მიხატ-მოხატეს...
ღელიმ ისევ დაახურა
კოხტა ქუდი სამზეო,—
ახლა ერთად ვისეირნოთ
არაგვზე და ქსანზეო.

მზია აკოგია — ძაძამია

თეა და მაჯარებელი

მატარებელი მოდის,
გადმოიარა კორდი;
მატარებელო, მოდი,
მატარებელო, მოდი!
მამა თბილისში იყო,
ჩამოიყვანე ალბათ,
ჯერ არ უნახავს მამას
ჩემი ახალი კაბა,
ჩემი ნაძერწი გემი,
ჩემი ნახატი შველი...
და სულ არ იცის მამამ
რა სიხარული ელის.
მატარებელი მოდის,
გადმოირბინა კორდი.
მატარებელო, მოდი,
მატარებელო, მოდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ГРИГОРИ ВИЕРУ (მოლდავეთი)

ცვრიანი პური

თავის პატარა ბიჭობაში ჩვენი დორუ სუფრაზე სულ იბრიცებოდა, ხან ეს არ მოსწონდა, ხან ის.

ერთხელ დედა შეეკითხა:

— კარაქიანი პური გინდა?

— არ მინდა!

— მურაბიანი პური?

— არ მინდა!

მე ვიცი, მაგას რა მოუხდება, — თქვა მამამ და ვაჟიშვილს მიუბრუნდა:

— ცვრიანი პურიც არ გინდა?

— როგორი? — ვერ მიხვდა დორუ.

— როგორი და, — ცვარმოყრილი. — განუმარტა მამამ.

დორუმ კეფა მოიფხანა, არ იცის, რა უპასუხოს. არასოდეს არ გაუგია ცვარმოყრილი პური, და ყოველი შემთხვევისათვის ფშლუკუნი აიტეხა:

— მინდა, ცვრიანი პური მინდაა!

— კეთილი და პატიონსანი, — დაეთანხმა მამა, ოღონდ დილამდე მოგიწევს მოცდა: სწორედ დილაუთენია დაყრის ვენახში ცვარს.

მეორე დღეს მამამ ადრიანად გააღვიძა დორუ. გასწიეს ვენახში. ჯერ მზეს არც დაეხედა ვენახისათვის.

— აბა, სად არის აქ ცვრიანი პური? — ჰკითხა შვილმა.

— მოიცა, ჯერ ცოტა წავიმუშაოთ. მზე როგორც კი შემაღლდება, ყველაზე უკეთესი ცვარიც მაშინ იცის.

მამამ ვაზის ძირას დაიწყო საუზმე: პური, ყველი და ქორფა ხახვი. მერე შვილს ხელში პატარა ნიჩაბი მისცა, თვითონ კი დიდი ბარი მოიმარჯვა და შეუდგნენ მუშაობას: დორუ რომ თავის გარშემო მიწას აფხვიერებს, მამა ბარავს.

დორუმ ვაზს მიწა აუნაოშა. მამამაც.

დორუმ სარეველა ბალახები ამოძირკვა. მამამაც.

დორუმ ძირს წაწვენილი ყლორტები წამოაყენა. მამამაც.

სანამ მზე შემაღლდებოდა, მამა-შვილმა კარგად წაიმუშავეს.

—ცვრიანი პური? — იკითხა დორუმ, — მე უკვე მომშივდა.

—ახლა საუზმობაც შეგვიძლია და შეგვერგება კიდეც! — თქვა მამამ და დორუს პურის ყუა გაუწოდა; ზედ თვალმარგალიტივით აბრჭყვიალებული ცვარ-ნამი მიმობნეულიყო.

— როგორია? გემრიელი პურია თუ არა?

— იფ, რა გემრიელია! მიუგო შვილმა.

დორუს შიოდა და გემრიელად ილუკმებოდა.

მართლაც, რა შეედრება დილის ნამით დაცვარულ ლუკმას!

თარგმანი
ქეთევან კაკაბაძისა

მხატვარი ლალი ლომთაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ ადეიშვილი

გაბროვო—85

ბულგარეთში არის ერთი ქალაქი—გაბროვო; გაბროვო იმიტომ ეწოდება, რომ სანამ ამ ადგილზე ვინმე მჭედელი, რაჩო, XIV საუკუნეში ქალაქს დააარსებდა, აქ რცხილის ტყე ყოფილა გაშენებული, რცხილას კი ბულგარულ ენაზე გაბრი ჰქვია.

საქმე ისეთნაირად წავიდა, რომ ქალაქში თავიდანვე ენაკვიმატი ხალხი დასახლდა; ამის გამო გულჩახვეულმა ხალხმა აქ ფეხი ვერ მოიკიდა. გაბროველთა ხუმრობა ყოველთვის მომჭირნეობასთან იყო დაკავშირებული. იქამდე მომჭირნეობდნენ, რომ კინალამ კატებს კუდები დააჭრეს, ზამთარში ოთახიდან რომ გადიან, გრძელი კუდის გამო კარს დიდხანს სტოვებენ ღიასო. რაღა თქმა უნდა, კატებს კუდები ვერ მოაჭრეს, თუმცა, როგორც გაბროველი ბავშვები ამბობენ, ამ „მუქარამ" კატები შეაფუცხუნა და შიშით კუდამოძუებულნი გადიან ოთახიდან. ასეა ბავშვებო, ხუმრობას დიდი ძალა აქვს!

გაბროველებმა იმდენჯერ იხუმრეს, რომ 1973 წლიდან თავიანთ ქალაქში სიცილის საერთაშორისო ფესტივალი დააწესეს. ერთ ოთხსართულიან სახლში ორ წელიწადში ერთხელ ტარდება ეს ფესტივალები, რომლებშიც დიდებთან ერთად ბულგარელი ბავშვებიც მონაწილეობენ—ისინი ათასნაირ ტანსაცმელში ირთვებიან და ხალხური ზღაპრების გმირებს ასახიერებენ.

გაბროვოს ფესტივალში მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენელს მიუღია მონაწილეობა.

წლევანდელი სიცილის ზეიმის „გაბროვო—85"-ის მოწოდება იყო „მსოფლიო გადაარჩინა სიცილმა!"

ამ ზეიმში გამარჯვებული მწერლები, მხატვრები, კინოსა და თეატრის რეჟისორები, მსახიობები, ჟურნალისტები, ფოლკლორისტები პრემიებით დააჯილდოეს. მხატვრულ ლიტერატურაში დაწესებული იყო „ეშმაკი პეტერის" პრემია, კარიკატურაში და პლასტიკურ ხელოვნებაში—პრემია „ოქროს ეზოპე", დიდი იგავთმეტყველის—ეზოპეს სახელის მიხედვით. კინოხელოვნებაში რომ ჩარლი ჩაპლინის პრემია იყო დაწესებული, ამის მიზეზი, რა ჩემი თქმა გჭირდებათ, ბავშვებო, ის არის, რომ ჩაპლინი სიცილის მეფეა.

სიცილის ფესტივალის დაწყების ალამი სატირისა და იუმორის სახლის წინ აღიმართა, იქ, სადაც დგას ვირზე უკუღმა შემჯდარი ეშმაკი პეტერის ქანდა-

კება. პეტერი თურმე თავის ოინებით ჩვენს ნაცარქექიას არ ჩამოუვარდება. მის გვერდით ჩვეული გულუბრყვილობით დგანან ჩაპლინის ორადგაყოფილი ფიგურები. ამ ძეგლების გარშემო უფრო ხშირად ბავშვები ტრიალებენ და იცინიან, აბა, რა იქნება,—ვირზე უკულმა შემჯდარი კაცი და შუაზე გაყოფილი სიცილის მეფე!?

ფესტივალის კარნავალი კატის კუდის მოჭრით დაიწყო... კატა თოჯინა იყო და კუდი რომ მოაჭრეს, არ სტკენია!

მოკარნავალე-მოზეიმე ქალაქ გაბროვოს ქუჩები ერთ დიდ ცისარტყელას ჰგავდა. ჩვენებურ „ბერიკაობას" მოაგონებდა კაცს სამხიარულო დადგმა „კუკერა" ცეკვის თანხლებით. იქაც, როგორც ბერიკაობის დროს, სხვადასხვა ცხოველურ ნიღბებში თუ საცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილები გმობდნენ ზარმაცებს, უსაქმურებსა და ყოყლოჩინებს.

ფესტივალის დროს უამრავი მულტფილმი და კომედიური წარმოდგენა უჩვენეს, დიკსილენდ-ჯაზის, ანუ სამხიარულო ორკესტრის კონცერტები გამართეს, ერთი სიტყვით, შვიდი დღის მანძილზე ქ. გაბროვოში მეფობდა ჯანსაღი სიცილი.

ჩემო პატარებო, ალბათ დადგება დრო და ქალაქ ქუთაისშიც ჩატარდება სიცილის ფესტივალი—თქვენ ყველას გაგონილი გაქვთ, რომ ქუთაისელები საოცრად ლამაზად და ლაღად ხუმრობენ, ამას ყველანი აღიარებენ. ოღონდ არ დაგავიწყდეთ, რომ სიცილი მეტად სერიოზული საქმეა, იგი დაცინვაში არ შეგეშალოთ: ადამიანზე ისე უნდა იხუმროთ, რომ მასაც გაეცინოს და მადლობაც გითხრათ.

წეღან ქუთაისელებზე დავიწყე და გავაგრძელებ. აქაურ დიდებთან ერთად პატარებიც ოხუნჯობენ. აი, ერთ-ერთი სახუმარო დიალოგი:

10 წლის ბიჭი მაღაზიაში:

— ბიძია, მომეცი ერთი კოლოფი შაქარი!

— 94 კაპიკი!..

— დაუმატე 700 გრამი მაკარონი...

— ეგეც 43 კაპიკი!..

— ახლა 600 გრამი ძეხვი!

— მანეთი და ოთხმოცი კაპიკი!

— ახლა მაგას გამოაკელი 120 გრამი შაქარი, დაუმატე 300 გრამი მაკარონი და გამოაკელი—99 გრამი ძეხვი! სულ რამდენი მანეთი დამჭირდება?

— ორი მანეთი და 10 კაპ.

— კაი დაგემართოს, ბიძია, სწორად ამომიხსნია ამოცანა!

მხატვარი ლალი ლომთაძე

ს.ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპ.
ბიბლიოთეკა

17. 973

პაოლო იაშვილი

მედეას ლეკვი

თუ გინახავთ
დათვის ღეკვი,—
იმ სიგრძეა
ჩემი ღეკვი.
ჯერ ოთახში, შემდეგ ბაღში
დადის, დადის
კუდაბზეკით.
ბუზს შეხედა, გაინაბა,
დამიხია ჩითის კაბა,
გულმოსულმა გადაყლაპა
მზა მურაბა
ერთი კიღო!
რა ღეკვია,
რა ღეკვია,
ღეკვია თუ ცირკის სპიღო?
კედლის მღებავს
შეუყეფავს,
კატას უკბენს, როცა ნებავს.
ახლა
დახრა
სკამის ფეხი,
არ მასვენებს ეს უკმეხი,
დაგაყარე თავზე მეხი!
და სულ ვდარდობ, ამ ავყიამ
იქნებ ჭამა დუთმა ნესვი,
იქნებ მამას დაუხია
გუშინ დაწერილი
ღექსი.
ანდა კიდევ უკეთესი—
გადაყლაპა დიდი ნემსი.
ვერც სკოლაში დავისვენე,
შინ მივედ და
მეცა ეღდა,
თურმე ბზიკმა
დამიკბინა
ჩემი ფინა
პაწაწკინა,
ჩვენი ბაღის
იმ კუთხეში,
სადაც ცხოვრობს ღოკოკინა!
ვარ მთელი ღღე მგღოვიარე,
ექიმები მოვიარე,
გამოვართვი აფთიაქარს
ეს მაღამო თაფლისფერი.
ვუცვლი წამაღს, ვაპმევ შაქარს,
არ აკღია არაფერი...
ოღონდ სიცხე გამონეღდეს
და ვუყიდი ცისფერ ღენტებს:
ერთი ყეღზე გამოვაბა,
ერთი ფეხზე გამოვაბა,
ერთი ყურზე გამოვაბა,
ერთი კუდზე გამოვაბა,
ქვეშ დავუგო ჩემი კაბა,
გავახურო დიდი ტაფა,
მოვუდულო ის მურაბა,
მას რომ უნდა!..
იხევ ჰქონდეს
დასახრავად სკამის ფეხი,
ალარ ვეტყვი არასოდეს:
„დაგაყარე თავზე მეხი“.

მხატვარი ნანა ჟურღულია

ბაღოცანები

მზია ჩხეტიანი

— ახ-ა! ოხ-ა!
— ახ-ა! ოხ-ა!
ოხ!—ეს ათას ახალოხა,
დანით ვკეპე,
ვკეპე მარა,
ცხარე ცრემლით
მაღვარღვარა!

ბებოს ბაღში

გულნარა ფოთაშვილი

ბებოს ბაღში გოგონებმა
ჩამოკრიფეს ბალი,
თვალეს, თვალეს, გამოვიდა
ორას ათი ცალი.
თუ მესამედს ირმა შეჭამს,
იმდენივეს ბაჩა.
თამილას და თემურიკოს
თქვი, რამდენი დარჩა?

ფოთა სტეფნაძე



გასართობები

გაყვითდა ვაზის ფურცელი,
დამწიფებულა .....

●

შეშა რომ იწვის ტკარცალით,
ბოღოს რა რჩება? .....

ДИЛА

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1927 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, მანანა კოტბაღიძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თენგიზ ჩალაური (პ/მგ. მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჭიჭინაძე, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 19. 07. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 27. 09. 85 წ., ქაღალდის ზომა 60×90/8 ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5 ტირაჟი 168,000, შეკვეთა 1529.

ყდაზე ნახატი ნანა
ჭურღულიასი

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 1529.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა

ь 80/166



მინების ჩამსველი საგონებელშია: ან ეს მინები როგორ გადათვალოს, ან ეს გატეხილი მინა როგორ შეაკოწიწოს. მიეშველეთ. დაითვალეთ რამდენი მინის ნაჭერი აქვს მას სულ. დამტვრეული მინის ნატეხები კი გამჭვირვალე ქაღალდით (კალკით) გადაიხატეთ, ამოჭერით და „გაამთელეთ“.

მხატვარი ნანა იოსელიანი